

საქართველოს კანონი

"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1994, ##21-22, მუხ.481) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 5¹-ე მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ი) წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს ყოველწლიურ მოხსენებას ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების შესახებ არაუგვიანეს მომავალი წლის 1 ივლისისა;"

2. მე-10¹ მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაწესებულების რეორგანიზაციისას საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეუწყვიტოს უფლებამოსილება დაწესებულების მართვის ორგანოებს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაწესებულების რეორგანიზაციის და ახალი დაწესებულების დაფუძნების შემთხვევაში განსაზღვროს დროებითი წესდების დამტკიცების აუცილებლობა.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. დაწესებულების რეორგანიზაციის ან ახალი დაწესებულების დაფუძნების შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს დაწესებულების დირექტორის კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩევამდე და ათავისუფლებს, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წარდგინებით.

6. დაწესებულების რეორგანიზაციისა და ახალი დაწესებულების დაფუძნების დროს დროებითი წესდება განსაზღვრავს მართვის ამ კანონისაგან განსხვავებულ უფლებამოსილებებს. დროებითი წესდება მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული ორგანოების წარდგინების საფუძველზე დაწესებულების წესდების დამტკიცებამდე. დაწესებულების დროებით წესდებას ამტკიცებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. თუ დაწესებულების სახელმწიფო კონტროლს არ ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დაწესებულების დროებითი წესდება მტკიცდება მასთან შეთანხმებით.“

3. 15¹ მუხლიში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით მეცნიერების დაფინანსების უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის დადგენილებით იქმნებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ქართველოლოგიური, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი) (შემდგომში - რუსთაველის ფონდი), ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები - სამეცნიერო ფონდები (შემდგომში - სამეცნიერო ფონდი), რომლებსაც ქმნის საქართველოს მთავრობა.”

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. რუსთაველის ფონდის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.”

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26-ე მუხლი:

„მუხლი 26. გარდამავალი დებულება

1. დაევალოს საქართველოს მთავრობას ცვლილებები შეიტანოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის სადამფუძნებლო აქტში და მას ეწოდოს ქართველოლოგიური, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი).

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქართველოლოგიური, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასრულებამდე მის ფუნქციებს ასრულებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი